AXIS GROUP

შპს ,,აქსის გრუპი''

12.10.2022 წ.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ეძლევა ნინო ხოსრუაშვილს პ/ნ 01009011823, როგორც ჩვენი კომპანიის შპს „აქსის გრუპი“ (404954117) უფლებამოსილ პირს, რათა წარმოადგინოს და დაიცვას კომპანიის ინტერესი სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში ნებისმიერ საკითხზე, განახორციელოს ნებისმიერი დოკუმენტაციის წარმოება, შეასრულოს ყველა ქმედება და პროცედურა, რაც განსაზღვრულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და აუცილებელია მინიჭებული უფლებამოსილების სრულყოფილად შესასრულებლად.

მინდობილობა ძალაშია 12.02.2023 წ. ჩათვლით

შპს „აქსის გრუპის“ დირექტორი
ოთარ დიხამინჯია

შპს "აქსის გრუპი" ◆ "AXIS GROUP" LTD ◆ AXIS GROUP ◆ 404954117 ◆ საქართველო • GEORGIA

საქართველო, თბილისი 0177, ალ. ყაზბეგის გამზ.24
ტელ: (+995 32) 224 17 17
info@axis.ge; www.axis.ge

ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა
წინამძღვრიშვილის ქ. №125



თბილისი
2015, მარტი

საკვლევი ტერიტორია დღევანდელი ვ. წინამძღვრიშვილის, ყოფ. ელისაბედის ქუჩის №125 მდებარეობს.

წინამძღრიშვილის ქუჩის №125, ყოფ. თამბაქოს ფაბრიკა, ისტორიულად ჩუღურეთს განეკუთნება. ქუჩა XIX ს-ის მიწურულს მიხეილის პროსპექტის მიმდებარე მიწების ათვისების მიზნით გაიჭრა პროსპექტის პარალელურად და რკინიგზის სადგურის მიმართულებით.

მე-XVIIIს. ტერიტორია, რომელზედაც დღეს პროსპექტი არსებობს, ეკალ-ბარდებით იყო დაფარული. 1800წ. ქალაქის გეგმაზე განაშენიანებული იყო მხოლოდ ვორონცოვის მოედნის ნაწილი, რომელსაც სოფ. კუკია უერთდებოდა. (სოფ. კუკია დაახლოებით იქ თავდებოდა სადაც ახლა მარჯანიშვილის ქუჩა გადის.)



1903წ. გეგმაზე აღნიშნული ობიექტი ჯერ კიდევ არ ჩანს.





1930-იანი წლების საბჭოთა რუკა

ამ მიწების აქტიური ათვისება, მხოლოდ 1818 წლიდან გერმანელ კოლონისტთა გადმოსახლების დროიდან იწყება. თბილისის ამ ნაწილს „ალექსადერდორფი" ეწოდა. სწორედ გერმანელებმა კეთილმოაწყვეს ეს ტერიტორიები, გამოიყვანეს სარწყავი არხი

და გააშენეს ბაღები და ბოსტნები. გერმანელები გახდნენ თბილისის ბაზრებში ხილისა და ბოსტნეულის მთავარი მომწოდებლები. განსაკუთრებით აქტიურად გაშენდა მიხეილის პროსპექტი ვერის ხიდის (ახ. გ.ტაბიძის ხიდის) აგების შემდგომ. 1860-იანი წლებისთვის ეს ტერიტორია ჯერ კიდევ აქტიურად არის გამწვანებული გერმანელთა ბაღებით, რომელთა ფრაგმენტები შემოგვრჩა ყოფ. ფილარმონიის (გოფილექტის), ვარდების, (გორკის) არტოს და სხვა ბაღების სახით.

არქიტექტურული განაშენიანებიდან მიხეილის პროსპექტზე და მიმდებარედ აღსანიშნავია არქ. ალ.ზალცმანის კათოლიკური ეკლესია, სასტუმრო "ვეტცელი" – არქ. .ბილფელდი, კინოთეატრი "აპოლო", მარჯანიშვილის სახ. თეატრი ყოფილი "სახალხო სახლი" რეალური სასწავლებელი - უშ. ჩხეიძის ქუჩაზე და სხვა ძალზედ მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლები, რომელთა უმეტესობა თბილისში მოღვაწე სახელგანთქმული არქიტექტორების ნახელავია.

საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობებთან ერთად მიხეილის პროსპექტის სამხრეთი მხარე XIXს. შუა წლებიდან სამხედრო დანიშნულების ობიექტებს ეკავა: არტილერისტების, დივიზიონსა და მესანგრეთა საჯინიბოებს – ვაგზლის მოედანთან, იუნკერთა და კადეტთა სასწავლებლებს ყოფილი დიდიმთავრის (ახ. დ. უზნაძის) და კერძოდ მიხეილის პროსპექტზე.

მიხეილის პროსპექტის ე.წ. შემოსავლიანი სახლები ისტორიული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სტატუსს ატარებს. ამ სახლების უმეტესობა კლასიცისტური ნალესი ფასადებითა და ეზოს მხარეს ხის გალერეა-შუშაბანდებით ხასიათდება. სწორედ ეს თვისება გამოარჩევს ამ არქიტექტურას, როგორც XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის თბილისური საცხოვრებლის ნიმუშებს.



საკვლევი ტერიტორია, რომელიც მოიცავს მიწის ნაკვეთს და მასზე არსებულ შენობებს სურამის ქუჩასა, ფოცხვერაშვილის ქუჩასა და წინამძღვრიშვილის ქუჩებს შორის, სავარაუდოდ XX ს-ის დასაწყისში განაშენიანდა და იმთავითვე საწარმოო დანიშნულების ნაგებობებით მოშენდა. სავარაუდოდ, არსებული ნაგებობა 1913 წლის შემდეგ უნდა იყოს აშენებული და თავისი არქიტექტურით რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე გავრცელებული საინჟინრო-საწარმოო დანიშნულების ნაგებობების ტიპს წარმოგვიდგენს





XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში თბილისის თამბაქოს ქარხნებს მდიდარი სომეხი მეწარმეები ბოზარჯიანცი და ენფიანჯიანცი ფლობდნენ.

თბილისის 1913 წლის გზამკვლევში რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე მხოლოდ ენფიანჯიანცის კუთვნილი ქარხანა ფიქსირდება სადგურის ქ. №8-ში, რაც იმას მიგვანიშნებს რომ ამ დროისთვის ელისაბედის (წინამძღვრიშვიილს) ქუჩაზე მეორე თამბაქოს ქარხნის შენობა ჯერ არ არსებობდა.

საბჭოთა პერიოდში შეიცვალა მხოლოდ ფაბრიკის სახელწოდება და არა შინაარსი. თამბაქოს მწარმოებელ ფაბრიკას „პროლეტარი“ ეწოდა, ხოლო მის სიახლოვეს არსებულ პირველ თამბაქოს ფაბრიკას (სადგურის ქუჩაზე) - „ლუქსემბურგი“.

XX ს-ის II ნახევარში შენობამ ფუნქცია დაკარგა, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მის ფიზიკურ მდგომარეობაზე. მიუხედავად ამისა, ის შეტანილ იქნა კულტურული მემკვიდრეობს დაცვის სიაში როგორც ისტორიული ქალაქის სამეურნეო-სამეწარმეო დანიშნულების უნიკალური ნიმუში.

ნაგებობა მსხვილ, ორსართულიან მოცულობას წარმოადგენს, რომელიც თითქმის ნახევარ კვარტალზე არის გადაჭიმული და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მიკროუბნის ურბანულ ხასიათს. ე.წ. „ახალი აგურით“ ნაგები ფასადის კედლები დანაწევრებულია ვეებერთელა თაღოვანი ღიობებით პირველ სართულზე და მართკუთხა ღიობების რიტმით მეორე სართულზე. ყველა ღიობს ირგვლივ ლითონის მოჩარჩოება და ასევე

ლითონის შიდა მოძრავი ტიხრები ახლავს. წინამძღვრიშვილის ქუჩის მხრიდან ფაბრიკას მაღალი ნალესი აგურის უსახური გალავანი საზღვრავს.





მხატვრულად ღირებული არქიტექტურული დეტალებისგან აღსანიშნავია ფასადზე დატანილი ელიფსური ფორმის ლუნეტები და ფაბრიკაში შესასვლელი ხის კვეთილი სადარბაზო კარი, რომელზედაც მოდერნის სტილისთვის დამახასიათებელი ორნამენტია გამოსახული (კარი მძიმე მდგომარეობაშია და რესტავრაციას მოითხოვს).

ფაბრიკის ეზოს მხარეს მიმართული ნაწილი ასევე აგურის წყობით არის ამოყვანილი, ზედა სართულზე ეს წყობა შეთეთრებულია. ამასთან, დეკორატიული ელემენტები აქ თითქმის არ გვხვდება. განსაკუთრებულად აღსანიშნავია სურამის ქუჩის მხარეს მიმართული სამსართულიანი კოშკის ტიპის როტონდული მოცულობა, რომლის შიგნით ძალიან თავისებური ფორმის რკინა-ბეტონის კიბეა განთავსებული.




ვრცელი ეზოს პერიმეტრი მოშენებულია ერთ-ორსართულიანი სამეურნეო ნაგებობებით, რომლებიც სავარაუდოდ XX ს-ის დასაწყისიდან სხვადასხვა დროს შენდებოდა და ფაბრიკის ადმინისტრაციის ფუნქციონირებისთვის იყო განკუთვნილი. ამ

შენობებსა და ძირითად კორპუსს შორის მსუბუქი ლითონის გადასასვლელი ხიდი არის მოწყობილი.





ტერიტორიის ამ ნაწილზე არსებულ შენობა-ნაგებობებს არ იცავს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მათი დაბალი ისტორიულ-არქიტექტურული ღირებულების გამო.

თამბაქოს ფაბრიკის ფიზიკური მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა, რაც გამოწვეულია მრავალწლიანი უფუნქციობითა და სახელმწიფოს მხრიდან ძეგლისადმი უყურადღებობით. უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში მთლიანად ჩაინგრა ნაგებობის პირველი სართულის იატაკი და სავარაუდოდ სარდაფის ნაწილები, ასევე მძიმე ავარიულ მდგომარეობაშია ზემოთ აღნიშნული განიერი კიბის უჯრედი და გადახურვის კონსტრუქცია.







რეკომენდაციები

წინამძღვრიშვილის ქ. №125 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ყოფ. თამბაქოს ფაბრიკის ნაგებობის და მის მიმდებარედ არსებული ტერიტორიის რეკონსტრუქცია-რეგენერაციის პროექტისთვის გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ნაგებობა, მიუხედავად თავისი უკიდურესად მძიმე ფიზიკური

მდგომარეობისა, წარმაოდგენს თბილისის ამ უბნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ურბანულ მახასიათებელს, რის გამოც მისი ძირითადი პარამეტრების, კერძოდ, საფასადე ნაწილის შენარჩუნება – გამაგრებისა და რესტავრაციის პროექტის მიხედვით, მნიშვნელოვანია თბილისის კულტურული მემკვიდრეობის თანამედროვე ურბანულ კონტექსტში რევიტალიზაციისათვის.

ნაგებობის ძირითადი კორპუსის უკიდურესად მძიმე ფიზიკური მდგომარეობა გვაფიქრებინებს მისი მოცულობის ნაწილობრივ დაშლას და თანამედროვე რეკონსტრუქციის შესაძლებლობას. ამასთან, გასაფრთხილებელია ისტორიული შენობის სახასიათო მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულების მქონე ნაწილებისა და ელემენტების მაქსიმალური შენარჩუნებისათვის ღონისძიებების დაგეგმვა.

ნაგებობის მიმდებარე ეზოს მოშენება თანამედროვე არქიტექტურული პროექტით სავსებით შესაძლებელია, თუკი გათვალისწინებული იქნება უბნის მასშტაბი და ისტორიული განაშენიანების ხასიათი. ერთიანი დიდი მოცულობის დასმა სასურველი არ არის უბნის მორფოლოგიიდან გამომდინარე. პროექტი უნდა შედგებოდეს რამდენიმე საკადასტრო ერთეულისგან.

ნაგებობებს შორის არსებული მწვანე ნარგავები შესანარჩუნებელია და შესამუშავებელია ტერიტორიის გამწვანება-რეგენერაციის პროექტი.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი

საექსპერტო კვლევითი ჯგუფი

შ.პ.ს "ექსპერტ დეველოპმენტი"



LTD "expert development"

მტკვრის ქუჩა №6

ტელ: 599 98 05 21

Mail:expert_development@gmail.com

09/08/2022 წელი

საექსპერტო დასკვნა

ქალაქი თბილისი, მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩა №125ა საკადასტრო კოდით №01.16.01.001.017.01.02.001ბ პირველ სართულზე შპს "ფრაგმენტსი"-ს საკუთრებაში არსებულ ფართში განხორციელებული სარეკონსრუქციო სამუშაოების კონსტრუქციული მდგომარეობისა და მგრადობის საექსპერტო დასკვნა

ქალაქი თბილისი, მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩა №125ა (საკ. კოდით №01.16.01.001.017.01.02.001ბ) აღნიშნულ მისამართზე შესწავლილ იქნა არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კონსტრუქციული მახასიათებლები და ტექნიკური მდგომარეობა. კვლევას საფუძვლად დაედო გადაწყვეტილება კერძოთ, შპს "ფრაგმენტსი"-ს საკუთრებაში არსებულ ფართში რეკონსტრუქციის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების ექსპერტიზა. აქედან გამომდინარე ჩვენს მიერ შესასრულებელი სამუშაოები გულისხმობს აღნიშნული სამშენებლო სამუშაოების პროცესში და მის შემდგომ შენობის მიმართ ზეგავლენის წარმოქმნის კვლევას, შესაბამისი დასკვნა-რეკომენდაციების განსაზღვრით.

შენობის ტექნიკური მდგომარეობის დახასიათება და გათვალისწინებული სამუშაოების მიხედვით ზეგავლენის წარმოქმნის შესაძლებლობა

არსებული შენობის კონსტრუქციული მახასიათებელი წარმოდგენილია შემდეგი სახით: შენობის კონსტრუქციული სქემა რკინა-ბეტონის კარკასული ტიპისაა, დიაფრაგმების და სეისმური კედლების ერთობლიობით, სართულშუა გადახურვები განხორციელებულია მონოლითური რკინა-ბეტონის ფილების მეშვეობით. არსებული მდგომარეობის შესწავლის მიხედვით, შენობის მზიდ ელემენტებზე არ იქნა აღმოჩენილი არავითარი სახის ბზარებისა და დეფორმაციების კვალი, აღნიშნული შენობა კონსტრუქციული მახასიათებლების მიხედვით მდგრადი და საიმედოა.

როგორც ავღნიშნეთ მესაკუთრის მიერ რეკონსტრუქციის ფარგლებში განხორციელებულ იქნა შიდა სამუშაოები კერძოდ: პირველ სართულზე შიდა ფართში ოთახის უკანა ნაწილში სართულშუა რიგელებზე, რომელიც ნაწილობრივ (არმირების ზედა შრე) იყო ღია მდგომარეობაში, მოეწყო ანტრესოლი. სველი წერტილის მონაკვეთზე განხორციელებულია რკინა-ბეტონის ფილა, რომელიც განივი მიმართულებით გამაგრებულია ლითონის №24 კვეთის ორტესბერი კოჭით, ხოლო დარჩენილ მონაკვეტზე ანტრესოლის საყრდენებად გამოყენებულია 100X200 მმ კვეთის ხის კოჭები, რომელიც ჩამოდებულია და გამაგრებული ლითონის კოჭებზე. ასევე შიდა ფართში ხორციელდება სარემონტო და მცირე სარეკონსტრუქციო სამუშაოები (ანტრესოლზე ასასვლელი კიბის მოწყობა), რის შედეგად მზიდი საყრდენი ელემენტების განალაგება და მდგომარეობა არ არის დარღვეული და კონსტრუქციული მდგომარეობა რჩება უცვლელი.

ტიხრების მოწყობა, სარემონტო და მიმდინარე სამუშაოები უმნიშვნელო ფაქტორია და არ არის კავშირში შენობის მზიდუნარიანობასთან. როგორც ავღნიშნეთ ზემოთ ხსენებული ანტრესოლის კონსტრუქციული მგომარეობა მისაღები და დამაკმაყოფილებელია, ვინაიდან არ არის დარღვეული შენობის საანგარისო სქემა და წარმოდგენილი სამუშაოების ფარგლებში გამოირიცხება ყოველგვარი სახის უარყოფითი ზეგავლენა რკინა-ბეტონის ელემენტებისა და შენობის საანგარიშო სქემის მიმართ. მოცემული სამუშოაების გათვალისწინებით სანგარიშო სქემა და დატვირთვები უმნიშვნელოა და არ აღემატება არსებულ მზიდუნარიან ელემენტების საანგარიშო წონას, შესაბამისად გამორიცხულია აღნიშნული ანტრესოლის მოწყობით ყოველგვარი სახის უარყოფითი ზეგავლენის წარმოქმნა შენობის მდგომარეობასთან მიმართებაში (იხ. თანდართული ფოტო მასალა)







წარმოდგენილი სამუშაოების განხორციელებით არ ხდება მზიდი საანგარიშო სქემის ცვლილება, რის საფუძველზეც ზემოთ ხსენებული

სამუშაოების სისრულეში მოყვანა არ გამოიწვევს არავითარ სახის ცვლილებას და ზეგავლენას შენობის მზიდუნარიანობაზე.

გაანგარიშებაში შესულია დატვირთვების სრული ანგარიში სასრული ელემენტების მეთოდის საფუძველზე, გაანგარიშებაში განხილულია არსებული შენობის მიმართ შემდეგი დატვირთვები: 1. სტატიკური მუდმივი 2. სტატიკური ხანმოკლე 3. სტატიკური ხანგრძლივი 4. სეისმური X მიმართულება (0.17g აჩქარება) 5. სეისმური Y მიმართულება 6. სეისმური 45^0 7. სეისმური 135^0 8. ქარი სტატიკური X მიმართულება 9. ქარი სტატიკური Y 10. ქარი პულსაციური X 11. ქარი პულსაციური Y 12. აქსელეროგრამა 1, X მიმართულება 13. აქსელეროგრამა 1, Y 14. აქსელეროგრამა 2, X მიმართულება 15. აქსელეროგრამა 2, Y მიმართულება 16. აქსელეროგრამა 3, X მიმართულება 17. აქსელეროგრამა 3, Y მიმართულება 18. აქსელეროგრამა 4, X მიმართულება 19. აქსელეროგრამა აქსელეროგრამა Y მიმართულება 20. აქსელეროგრამა 5, X მიმართულება 21. აქსელეროგრამა Y მიმართულება 22. აქსელეროგრამა 6, X მიმართულება 23. აქსელეროგრამა 6, Y მიმართულება 24. აქსელეროგრამა 7, X მიმართულება 25. აქსელეროგრამა 7, Y მიმართულება.

დასკვნითი ნაწილი: ჩვენს მიერ შესწავლილი ქალაქი თბილისი, მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩა №125ა (საკ. კოდით №01.16.01.001.017.01.02.001ბ) მიწის ნაკვეთზე არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია. შპს "ფრაგმენტსი"-ს საკუთრებაში არსებულ ფართში ზემოთ ხსენებული ანტრესოლისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელება უმნიშვნელოა ფაქტორია, შესაბამისად არ იქონიებს არავითარ სახის უარყოფით ზეგავლენას შენობის მდგრადობისა და საიმედოობის პირობის მიმართ.

კონსტრუქტორ-ექსპერტი: **ა. ყურაშვილი**

შპს ექსპერტ დეველოპმენტი • EXPERT DEVELOPMENT LTD • 402030495

სამუშაო გამოცდილება

გვარი, სახელი, მამის სახელი: - ყურაშვილი ალექსანდრე

მისამართი: - ქ.თბილისი, იპ. ხვიჩიას ქუჩა №16, ბინა 11

ტელეფონი: - ტელ: 2 37 55 77
მობ: 5 99 05 70 94
პ/ნ 01024034907

განათლება: - 2002 წელს ჩავაბარე და 2008 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, სპეციალობით სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა (მაგისტრი)

- მშნებელ-ინჟინერის სამუშაო საქმიანობა და გამოცდილება 2006 წლიდან დღემდე.

-შპს "ვალენტია ინდუსტრია" 2005-2006წწ.

-"სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური" თანამდებობა: ქონების განვითარების სამსახურის სპეციალისტი 2006-2009 წწ. (ავლაბრის ადმინისტრაციული კომპლექსის მშენებლობაზე)

- 2009 წლიდან 2011 წლამდე ვმუშაობდი საპროექტო ორგანიზაცია შპს "დიტრიხ"-ში კონსტრუქტორის პოზიციაზე მის: ქ.თბილისის, ბახტრიონის ქუჩა №28

- 2011 წლიდან შპს "ლილეო"– ს დირექტორი თანამდებობა: ინჟინერ-კონსტრუქტორი
- 2018 წლიდან დღემდე შპს "ექსპერტ დეველოპმენტი"-ს დირექტორი, თანამდებობა : ინჟინერ-ექსპერტი

ენების ცოდნა: - ქართული– მშობლიური
- რუსული-კარგად
- ინგლისური-კარგად

სხვა მონაცემები:

კომპიუტერული პროგრამები:
OS: Auto cad; ArchiCAD; Windows XP; Microsoft Office; Internet Explorer; საინჟინრო-გამოთვლითი პროგრამა Lira

2009 წლიდან - დღემდე, თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, შესწავლილი მაქვს 200 ერთეულამდე ავარიული ან/და სარეკონსტრუქციო 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 კლასის შენობა-ნაგებობა, რაზედაც გაცემულია შესაბამისი ნახაზები, საექსპერტო დასკვნები და რეკომენდაციები. თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში დაპროექტებული მაქვს 600-ზე მეტი 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 კლასის შენობების კონსტრუქციული პროექტი. თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში შესრულებული მაქვს 4000 მეტ ობიექტზე საექსპერტო დასკვნები, სადემონტაჟო-სამშენებლო ობიექტების ექსპერტიზა, შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობების ექსპერტიზა, სარეკონსტრუქციო ნაგებობების ექსპერტიზა, შენობა-ნაგებობებზე ზემოქმედებასა და მე-4 კლასის შენობებისთვის ფუძე-საძირკვლებისა და სხვა კონსტრუქციული ელემენტების საექსპერტო შეფასების შესახებ. ჩემს მიერ, თბილისში მომზადებულია რამოდენიმე ათეული მეოთხე კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი და მრავალფუნქციური კომპლექსების, საწარმო ტიპის ნაგებობების პროექტის კონსტრუქციული ნაწილები.

Georgia

IDENTITY CARD

მოქალაქის პირადობის მოწმობა

საქართველო

GEO



ბარათის No / CARD No

19IA43611

სახელი / FIRST NAME

ალექსანდრე

ALEKSANDRE

გვარი / LAST NAME

ყურაშვილი

KURASHVILI

მოქ. / CIT	სქესი / SEX	პირადი No / PERSONAL No
GEO	მმ / M	01024034907

დაბადების თარიღი DATE OF BIRTH	მოქმედების ვადა DATE OF EXPIRY
21.02.1985	15.10.2029

ხელმოწერა
SIGNATURE

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH

თბილისი

TBILISI

გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE

15.10.2019

გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY

იუსტიციის სამინისტრო

MINISTRY OF JUSTICE

დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2019

სფს-ს რეგისტრაციის No 26-3184

IDGE019IA4361130102403490 7<<<<

8502212M2910150GEO<<<<<<<<<<<8

KURASHVILI<<ALEKSANDRE<<<<<<<<<



დამკვეთი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
შემსრულებელი: საგამომცემლო პოლიგრაფიული სახლი კაბადონი
ს.ფ.ს. რეგისტრაციის № 7 - 0158

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY



ბაკალავრის დიპლომი

BACHELOR'S DIPLOMA

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

DIPLOMA

With honours

STU № 000839

This is to certify that Mr./Ms. Alexander
Name, Surname
Kurashvili

was enrolled in 2002 in Georgian Technical University and in 2006

completed the requirements of Faculty of

Civil Engineering

Bachelor's Degree of the University

with major in Industrial and Civil Engineering

By the decision of the State Qualification Commission, September
Month, Day, Year
18, 2006, Mr. Alexander Kurashvili
Name, Surname

was awarded the Academic Degree of

Bachelor of Civil Engineering

Seal

Rector

Dean

City: Tbilisi

Registration # 06535

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დიპლომი

წარჩინებით

STU № 000839

ეძლევა ალექსანდრე ყურაშვილს

მასზედ, რომ იგი 2002 წელს ჩაირიცხა და 2006

წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სამშენებლო

ფაკულტეტის

ბაკალავრიატის სრული კურსი სამრეწველო და სამოქალაქო

მშენებლობის

სპეციალობით

საკვალიფიკაციო კომისიის 2006 18. 9
(წელი, რიცხვი, თვე)
გადაწყვეტილებით

ალექსანდრე ყურაშვილს მიენიჭა

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მშენებლის

კვალიფიკაცია

რექტორი

დეკანი

ქალაქი თბილისი

სარეგისტრაციო ნომერი 06535



მაგისტრის
დიპლომი

MASTER'S
DIPLOMA

დამკვეთი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დამამზადებელი: შპს „ფორმა“
სფს რეგისტრაციის № 04-1599

GEORGIA

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

TECHNICAL UNIVERSITY OF GEORGIA

MASTER'S

DIPLOMA

MA № 000505

This is to certify that by the decision June 26, 2008.

of the Civil Engineering faculty

of the **Technical University of Georgia**

Mr. Alexander Kurashvili

born on February 21, 1985.

was awarded an academic Degree of Master with a Major in

Civil Engineering

seal

Dean of the faculty

Rector

Tbilisi September 18, 2008. Registration No 00504

საქართველო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მაგისტრის

დიპლომი

MA № 000505

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

საინჟინრო

ფაკულტეტის 2008 წლის 26. 6 გადაწყვეტილებით,

ალექსანდრე ყურაშვილს

დაბადებულს 1985 წლის 21 თებერვალს

მიენიჭა მშენებლობის

მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

ბ. ა.

ფაკულტეტის დეკანი

რექტორი

თბილისი 18/09/2008 სარეგისტრაციო # 00504

საქართველო

ორი ათას ჩვიდმეტი წლის ექვს დეკემბერს მე, საქართველოს ნოტარიუსს თეა მაღალდაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მტკვრის ქ. N6, მომმართა: **ალექსანდრე ყურაშვილმა**, რომელმაც წარმოადგინა მის მიერ შედგენილი **სამუშაო გამოცდილების** ერთი ეგზემპლარი და მოითხოვა მასზე მისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ალექსანდრე ყურაშვილმა** (დაბად.21.02.1985წ. პ/ნ 01024034907, პ/მ დ1428509) მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს.

მან განაცხადა, რომ მისთვის ცნობილია **სამუშაო გამოცდილების** შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგი, რომ იგი სრულად გამოხატავს მის ნებასა და სურვილს, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით, პირადად მოაწერა ხელი **სამუშაო გამოცდილებას**, რომელიც თან ერთვის სანოტარო აქტს.

ნოტარიუსმა მას განუმარტა, რომ იგი ამოწმებს მხოლოდ **სამუშაო გამოცდილებაზე** მისი ხელმოწერის ნამდვილობას და არა **სამუშაო გამოცდილებაში** მოყვანილი ფაქტის სიზუსტეს და ნამდვილობას. მე მას აგრეთვე განუმარტე, რომ ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა კერძო აქტის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის, ან კერძო აქტში ხელმომწერის ნების არაადეკვატურად ასახვის გამო და შესაბამისად, პასუხს არ აგებს მის ნამდვილობაზე.

დამოწმებულია ერთი ხელმოწერის ნამდვილობა **სამუშაო გამოცდილების** ერთ ეგზემპლარზე და შესაბამისად გადახდილია სანოტარო საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების (29.12.2011 წ.) 31-ე მუხლის საფუძველზე 2.00 ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე 2.00 ლარი და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. 0.36 ლარი, ჯამში: 4.36 ლარი.

საქართველოს ნოტარიუსი
თეა მაღალდაძე



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N171419327
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	06.12.2017 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
სრულიად	თეა მაღალდაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, მტკვრის ქუჩა N6
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	0322931887
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	31278100086917

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18